გლობალური მდგრადი ტურიზმის საბჭოს დარგობრივი კრიტერიუმები

ვერსია 3, 21 დეკემბერი 2016

ტურ-ოპერატორებისათვის შეთავაზებული შესასრულებელი ინდიკატორები

პრეამბულა

გლობალური მდგრადი ტურიზმის საბჭოს („GSTC“) დარგობრივი კრიტერიუმები შეიქმნა მსოფლიოში „მდგრადი ტურიზმის“ ზოგადი გაგების ჩამოყალიბების მიზნით და წარმოადგენს იმ მინიმუმს, რომლის მიღწევასაც ნებისმიერი ტურისტული ბიზნესი უნდა ესწრაფოდეს. ხსენებული კრიტერიუმები ორგანიზებულია ოთხი ძირითადი თემის გარშემო: ეფექტური მდგრადი დაგეგმვა, ადგილობრივი საზოგადოებისთვის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მაქსიმალური ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის გამყარება/გაძლიერება და გარემოზე უარყოფითი გავლენების შემცირება. ეს კრიტერიუმები ესადაგება მთელ ტურიზმის ინდუსტრიას.

ეს კრიტერიუმები შემუშავებული და გადახედილია იმ პრინციპით, რომ შეესაბამებოდეს ISEAL Alliance-ის მიერ შემუშავებულ „სტანდარტების დამაწესებელ კოდექსს“. ხსენებული ორგანიზაცია აღიარებულია, როგორც ყველა სექტორში მდგრადობის სტანდარტების შემუშავების შესახებ საერთაშორისო ნორმების თაობაზე მითითებების შემმუშავებელი ორგანო. კრიტერიუმები გადაიხედება ყოველ 3-5 წელიწადში. გეგმები გადახედვის შესახებ და სამომავლო გადახედვებისას გასათვალისწინებელი საჯარო სექტორის მოსაზრებების/რეკომენდაციების მიწოდების მიზნით რეგისტრაცია შესაძლებელია ვებგვერდზე: www.gstcouncil.org. ვებსაიტზე ასევე მოცემულია ინფორმაცია კრიტერიუმების შემუშავების პროცესისა და ისტორიის შესახებ.

კრიტერიუმები შეიძლება:

- ასრულებდეს მდგრადობის სერტიფიკაციის საფუძვლის ფუნქციას:
- იყოს საბაზისო სახელმძღვანელო პრინციპი ყველა ზომის ბიზნესებისთვის, რათა გახდნენ უფრო მდგრადები და დაეხმაროს ბიზნესებს შეარჩიონ მდგრადი ტურისტული პროგრამები, რომლებიც აკმაყოფილებს ამ გლობალურ კრიტერიუმებს;

- უზრუნველყოფდეს მდგრადი ნაწარმის, ზრდად ბაზარზე უფრო ფართო წვდომას, იყოს გზამკვლევი როგორც მოგზაურებისთვის, ასევე ტურისტული სააგენტოებისთვის;
- დაეხმაროს მომხმარებლებს განსაზღვრონ ჯანსაღი მდგრადი ტურისტული პროგრამები და ბიზნესები;
- მასმედია საშუალებებისთვის ასრულებდეს დენომინატორის როლს მდგრადი ტურისტული მომსახურების მიმწოდებლების ამოცნობის მიზნით;
- ეხმარებოდეს სერტიფიცირების და სხვა მოხალისეობრივ პროგრამებს იმის უზრუნველყოფაში, რომ მათი სტანდარტები აკმაყოფილებდეს ფართოდ მიღებულ ქვედა ზღვარს;
- სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის პროგრამებს სთავაზობდეს ამოსავალ წერტილს მდგრადი ტურიზმის მოთხოვნების შესამუშავებლად;
- გამოყენებული იქნას როგორც საბაზისო სახელმძღვანელო პრინციპები საგანმანათლებლო და სასწავლო ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა სასტუმროს სკოლები და უნივერსიტეტები.
- ახდენდეს ისეთი ლიდერობის დემონსტრირებას, რომელიც სხვებს მოქმედების სურვილს ჩაუსახავს.

  და ა.შ.

კრიტერიუმები მიუთითებს, თუ *რა* უნდა გაკეთდეს და *არა* *როგორ* უნდა გაკეთდეს, ან მიღწეული იქნა თუ არა მიზანი. ამ ფუნქციას ასრულებს საქმიანობის ინდიკატორები, ასოცირებული საგანმანათლებლო მასალები და პრაქტიკაში განხორციელების ინსტრუმენტებზე წვდომა. ყველა მათგანი წარმოდგენს საბჭოს კრიტერიუმების აუცილებელ შემავსებელ ელემენტს.

კრიტერიუმების გამოყენება

რეკომენდირებულია, რომ ყველა კრიტერიუმი გამოყენებული იქნას მაქსიმალურად პრაქტიკულად, გარდა იმ კონკრეტული შემთხვევებისა, რომლებსაც კრიტერიუმი არ ესადაგება და ეს გამართლებულია. შესაძლოა არსებობდეს გარემოებები, რომლებშიც რომელიმე კრიტერიუმი არ მიესადაგება ცალკეულ ტურისტულ პროდუქტს, ადგილობრივი მარეგულირებელი, გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონიმიკური ან კულტურული პირობების გათვალისწინებით. მიკრო და საზოგადოებრივ მფლობელობაში არსებული ტურისტული ბიზნესების შემთხვევაში, რომლებსაც მცირე სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მასშტაბი/გავლენა გააჩნიათ, მიიჩნევა, რომ შეზღუდულმა რესურსებმა შესაძლოა ხელი შეუშალოს ყველა კრიტერიუმის სრულ გამოყენებას. დამატებითი გზამკვლევი ამ კრიტერიუმების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ინდიკატორებსა და გლოსარიურმში, რომლებიც გამოქვეყნებულია საბჭოს მიერ.

შესრულების ინდიკატორები

აქ წარმოდგენილი შესრულების ინდიკატორები შექმნილია ინსტრუქციების უზრუნველსაყოფად სასტუმროებისათვის გლობალური მდგრადი ტურიზმის საბჭოს კრიტერიუმებთან შესაბამისობის გაზომვისას.

ინდიკატორების ეს კომპლექტი ახალი ინფორმაციის შემუშავებასან ერთად პერიოდულად განახლდება. თუკი გსურთ ახალი ინდიკატორების ან სხვა გაუმჯობესებების შემოთავაზება, გთხოვთ, თქვენი შემოთავაზებები გამოგზავნეთ აქ: accreditation@gstcouncil.org.

გაერთიანებული ინდიკატორები და კრიტერიუმები

ეს დოკუმენტი შეიცავს კრიტერიუმებსა და შესრულების ინდიკატორებს.

გლობალური მდგრადი ტურიზმის საბჭოს დარგობრივი კრიტერიუმები	ინდიკატორები ტურ-ოპერატორებისათვის
ნაწილი ა: ეფექტური მდგრადი მართვის დემონსტრირება	
A1 მდგრადობის მართვის სისტემა ორგანიზაციას დანერგილი აქვს გრძელვადიანი მდგრადობის მართვის სისტემა, რომელიც შეესაბამება მის ზომას და საქმიანობის ფარგლებს, უმკლავდება ეკოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ხარისხის, ადამიანის უფლებათა, ჯანდაცვის, უსაფრთხოების, რისკების და კრიზისის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და სტიმულს აძლევს მუდმივ განვითარებას.	ა. მდგრადობის მართვის სისტემად დეტალურად დოკუმენტირებულია. ბ.მდგრადობის მართვის სისტემა მოიცავს გარემოს დაცვის, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ხარისხის, ადამიანის უფლებათა, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს. ბ. მდგრადობის მართვის სისტემა მოიცავს რისკისა და კრიზისის მართვის მიმოხილვას. გ. დოკუმენტური სახით არსებული მტკიცებულება გვიჩვენებს მდგრადობის მართვის სისტემის განხორციელებას. დ. მდგრადობის მართვის სისტემა მოიცავს ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მონიტორინგის პროცესს.
A2 კანონმდებლობასთან შესაბამისობა	ა. ინახება ყველა მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნის განახლებული სია.

ორგანიზაცია აკმაყოფილებს ყველა შესაბამის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას და რეგულაციას, მათ შორის, ჯანდაცვის, უსაფრთხოების, შრომის, ეკოლოგიური და სხვა ასპექტების მხრივაც.	ბ. სერტიფიკატები ან სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები აჩვენებს შესაბამისობას ყველა არსებულ სამართლებრივ მოთხოვნასთან. გ. გასაგები და დაკმაყოფილებულია ყველა სამოქმედო ქვეყანაში არსებული სამართლებრივი მოთხოვნები.
A3 ანგარიშგება და კომუნიკაცია ორგანიზაცია საკუთარი მდგრადობის პოლიტიკის, ღონისძიებების და საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, მომხმარებლებსაც და ცდილობს მოიზიდოს მათი მხარდაჭერა.	ა.ხელმისაწვდომია რეგულარული ანგარიშები მდგრადობის განვითარების შესახებ . ბ. მდგრადობის პოლიტიკა და ღონისძიებები წარმოდგენილია გარე და შიდა საკომუნიკაციო მასალებში. გ. კომუნიკაციები შეიცავს შეტყობინებებს მომხმარებლისა და დაინტერესებული მხარისაგან მხარდაჭერის მისაღებად.
A4 თანამშრომლების ჩართულობა თანამშრომლები ჩართულნი არიან მდგრადობის მართვის სიტემის შემუშავებასა და პრაქტიკაში განხორციელებაში და იღებენ პერიოდულ მიმართულების მიმცემ მითითებებს და სწავლებას საქმიანობის პროცესში თავიანთი როლებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით.	ა. ხელმისაწვდომია მტკიცებულება მდგრადობის მართვის სისტემაში პერსონალის ჩართულობის შესახებ. ბ. ხელმისაწვდომია კურსებისა და სამუშაო ტრენინგების ჩანაწერები, დასწრების დონესთან ერთად. გ. თანამშრომლების სასწავლო და სახელმძღვანელო მასალები ხელმისაწვდომია სათანადო ფორმატში (საჭიროებისამებრ, შეიცავს უმცირესობის ენებს). დ. პერსონალი ფლობს სერტიფიკატებს და კვალიფიკაციას შესაბამის დისციპლინებში/ უნარებში.
A5 მომხმარებლის გამოცდილება ხორციელდება მომხმარებლის კმაყოფილების მონიტორინგი, მდგრადობის ასპექტების ჩათვლით და მიიღება გამოსასწორებელი ზომები.	ა. არსებობს მომხმარებლის უკუკავშირის სისტემა, შედეგების ანალიზთან ერთად. ბ. აღიწერება უარყოფითი უკუკავშირი და პასუხები. გ. არსებობს შესრულებული გამოსასწორებელი ზომების მტკიცებულება. დ. მომხმარებელთა უკუკავშირი ეგზავნება ტურისტულ ბიზნესებსა და კონტრაქტით

	გათვალისწინებულ/ მონახულებულ დანიშნულების ადგილებს.
A6 ზუსტი რეკლამირება სარეკლამო მასალები და მარკეტინგული კომუნიკაცია ორგანიზაციასთან და მის ნაწარმთან და სერვისებთან დაკავშირებით (მათ შორის, განცხადებები მდგრადობის შესახებ) არის ზუსტი და გამჭვირვალე.	ა. რეკლამაში გამოყენებული სურათები წარმოადგენს რეალურ გამოცდილებებსა და მომხმარებლების მიერ მონახულებულ ადგილებს. ბ. ველური ბუნების ან კულტურული ღონისძიებების შესახებ არსებული მარკეტინგი არ გვპირდება ისეთ სანახაობებს, რომლებიც არ არის გარანტირებული. გ. მდგრადობასთან დაკავშირებული პრეტენზიები დაფუძნებულია წარსულ გამოცდილებაზე.
A7 შენობები და ინფრასტრუქტურა შენობების და ინფრასტრუქტურის დაგეგმარება, განლაგება, პროექტირება, მშენებლობა, რემონტი, ექსპლუატაცია და დემონტაჟი.	A7 კრიტერიუმის ინდიკატორები დაკავშირებულია იმ შენობებსა და ინფრასტრუქტურასთან, რომელსაც ფლობს ან მართავს ორგანიზაცია ან რომელზეც მას აქვს პირდაპირი გავლენა/ კონტროლი.
A7.1 შესაბამისობა ზონირების მოთხოვნებთან და დაცულ და სენსიტიურ ტერიტორიებთან, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.	ა. დემონსტრირებულია ინფორმირებულება და შესაბამისობა იმ კანონებთან, რომელიც დაკავშირებულია მიწის გამოყენებასა და ადგილობრივ ტერიტორიაზე აქტივობებთან. ბ. ყველა საჭირო ლიცენზია და ნებართვა არის განახლებული. გ. ნაჩვენებია ინფორმირებულება და შესაბამისობა არა-კანონზე დაფუძნებულ ტერიტორიის მართვის გეგმებსა და მითითებებთან (მაგ. კონკრეტული ზონებისათვის, დიზაინისათვის და ა.შ.)
A7.2 გავლენა და მთლიანობა ბუნებრივი და კულტურული გარემოს მოცულობის და მთლიანობის მხედველობაში მიღება...	ა. ადგილის შერჩევა, დიზაინი და წვდომა ითვალისწინებს ვიზუალურ სიამოვნებას, ლანდშაფტს, კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას . ბ. ადგილის შერჩევა, დიზაინი და წვდომა მხედველობაში იღებს ბიოლოგიურად სენსიტიური

	ტერიტორიებისა და ეკოსისტემების ასიმილაციური უნარის დაცვას. გ. შენარჩუნებულია არქეოლოგიური, კულტურული მემკვიდრეობის და წმინდა ადგილების მთლიანობა. დ. დაცულია ბუნებრივი ადგილებისა და დაცული ადგილების მთლიანობა და კავშირი. ე. არ ხდება გადაშენების პირას მყოფი ან დაცული სახეობების გადაადგილება და ზემოქმედება ყველა ველური ბუნების ჰაბიტატზე მინიმუმამდე შემცირებული და შემსუბუქებულია. ვ. წყლის ნაკადები/ წყალშემკრები აუზები/ ჭაობები ხელშეუხებელია და სადაც ამის შესაძლებლობაა შემცირებულია წყლების ჩამოდინება, ნებისმიერი ნალექი კი გროვდება ან არხში ჩაედინება და იფილტრება. ზ. რისკ-ფაქტორები (მათ შორის, კლიმატის ცვლილება, ბუნების ფენომენი და ვიზიტორთა უსაფრთხოება) შეფასებული და შესწავლილია. თ. განხორციელდა ზემოქმედების შეფასება (მათ შორის, კუმულაციური ზემოქმედება) და მოხდა მისი სათანადოდ დოკუმენტირება.
A7.3 მდგრადი მეთოდები და მასალები მდგრადი და ადგილობრივი პირობებისთვის შესაბამისი მეთოდების და მასალების გამოყენება.	ა. სადაც ეს პრაქტიკული და შესაფერისი იყო ადგილობრივი მასალები, პრაქტიკები და ხელნაკეთობები გამოყენებულ იქნა შენობებსა და დიზაინში ბ. გამწვანებასა და დეკორაციაში გამოყენებულია მდგრადი წყაროებიდან მოპოვებული მკვიდრი და ენდემური მცენარეები, რითიც თავიდან ხდება ეგზოტიკური და ინვაზიური სახეობების ჩართულობის არიდება. გ. მცენარეები შეირჩა მათი უნარის მიხედვით მოერგონ გაბატონებულ ან მოსალოდნელ პირობებს. მაგალითად: გვალვაგამძლე მცენარეები.

	დ. შენობებში გამოყენებულია მდგრადი დიზაინი, მასალები და სამშენებლო პრაქტიკები, არსებობის შემთხვევაში, შესაბამის სერტიფიკატთან ერთად. ე. მშენებლობის შედეგად მიღებული ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება ხდება ეკოლოგიურად გამართლებული გზით.
A7.4 ყველასთვის ხელმისაწვდომობა **სადაც შესაძლებელია, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა.**	ა. ადგილები, შენობები და აქტივობები ხელმისაწვდომია შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვა სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის, საქმიანობის ბუნების შესაბამისად. ბ. მისაწვდომობის დონის შესახებ მოცემულია მკაფიო და ზუსტი ინფორმაცია. გ. მისაწვდომობა დამოწმებული ან შემოწმებულია შესაბამისი ექსპერტების/ მომხმარებელთა ორგანოების მიერ.
A8 მიწა, წყალი და საკუთრების უფლებები **ორგანიზაციის მიერ წყალსა და მიწაზე უფლებების მოპოვება არის კანონიერი, არ არღვევს ადგილობრივი საზოგადოების და ადგილობრივთა უფლებებს, მათ შორის, მათ თავისუფალ, წინასწარ და ინფორმირებულ თანხმობას და საჭიროს არ ხდის იძულებით გადასახლებას.**	ა. ორგანიზაციის მფლობელობაში ან ორგანიზაციის მიერ მართულ ან კონტროლირებად ადგილებზე, მიწის ფლობისა და საკუთრების უფლებები არის დოკუმენტირებული. ბ. სადაც შესაძლებელია, ძირითადი რესურსების, მათ შორის, მიწისა და წყლის მომხმარებლისა და წვდომის უფლებები არის დოკუმენტირებული. გ. არსებობს ადგილობრივ და მკვიდრ მოსახლეობასთან კომუნიკაციის, კონსულტაციისა და ჩართულობის დოკუმენტური მტკიცებულება. დ. საჭიროებისამებრ, ადგილობრივი თემების თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა არის დოკუმენტირებული (აჩვენებს, რომ არ მომხდარა არანებაყოფლობითი გადასახლება ან მიწის დაუფლება)

A9 ინფორმაცია და განმარტება ორგანიზაცია უზრუნველყოფს ინფორმაციას და განმარტებას ბუნებრივი გარემოს, ადგილობრივი კულტურის და კულტურული მემკვიდრეობის შესახებს, ასევე განმარტავს სათანადო ქცევის წესებს ბუნებაში ვიზიტის, ცოცხალი კულტურებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულების დროს.	ა. ინფორმაცია/ თარგმნილი მასალა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ადგილების შესახებ არის ხელმისაწვდომი და მომხმარებლებისათვის უზრუნველყოფილი. ბ. პერსონალი ინფორმირებული და მომზადებულია მონახულებული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ადგილების შესახებ. გ. მომხმარებლებს მიეწოდებათ ინფორმაცია მოსანახულებელ ადგილებზე სათანადო ქცევის შესახებ.
A10 დანიშნულების ადგილის ჩართულობა როდესაც საამისო შესაძლებლობა არსებობს, ორგანიზაცია მონაწილეობს დანიშნულების ადგილის ტერიტორიაზე მდგრადი ტურიზმის დაგეგმვის და მართვის პროცესში.	ა. ორგანიზაცია კავშირზეა დანიშულების ადგილის ადგილობრივ მართვის ორგანიზაციასთან ან მის ექვივალენტ ორგანოსთან იმ ლოკაციებზე, სადაც ის ყველაზე აქტიურია. ბ. ორგანიზაცია ჩართულია მდგრადი ტურიზმის დაგეგმვასა და მართვაში ისეთ დანიშნულების ადგილებზე, სადაც ის ყველაზე აქტიურია.

ნაწილი B: ადგილობრივი საზოგადოებისთვის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მაქსიმიზირება და ნეგატიური გავლენების მინიმუმამდე დაყვანა	
B1 საზოგადოების მხარდაჭერა ორგანიზაცია აქტიურად უჭერს ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და სოციალური საზოგადოების განვითარების ინიციატივებს. ინიციატივების მაგალითები მოიცავს განათლებას, სწავლებას, ჯანდაცვას და სანიტარიას, ასევე, პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებების გამოწვეულ გავლენებთან გამკლავებას.	ა. ორგანიზაცია მხარს უჭერს ადგილობრივი თემების ინიციატივებს იმ ადგილებში, სადაც ის ყველაზე აქტიურია. ბ. ადგილობრივი თემების სქემებში შეტანილი წვლილის დონე და ბუნება არის აღწერილი. გ. პროგრამაში ჩასართავად სერვისის პროვაიდერებისა და პროდუქტების/ გამოცდილებების შერჩევისას ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს მათ, ვინც მხარს

	უჭერს და თანამშრომლობს ადგილობრივ საზოგადოებასთან.
B2 ადგილობრივთა დასაქმება **ადგილობრივ მაცხოვრებლებს ეძლევათ დასაქმების და კარიერული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობები, მათ შორის მენეჯერულ პოზიციებზეც.**	ა. ორგანიზაცია ცდილობს უზრუნველყოს ადგილობრივ მაცხოვრებლებთა დასაქმება მის მოქმედებებსა და საქმიანობაში. ბ. ორგანიზაცია აკონტროლებს დასაქმების დონესა და პროპორციას, რომელსაც ის ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის უზრუნველყოფს. გ. ორგანიზაცია ადგილობრივ მაცხოვრებლებს სთავაზობს ტრენინგს მათი დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის მიზნით. დ. პროგრამაში ჩასართავად სერვისის პროვაიდერებისა და პროდუქტების/ გამოცდილებების შერჩევისას ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს, მათ ვინც უზრუნველყოფს ადგილობრივთა დასაქმებას.
B3 ადგილობრივი შესყიდვები **საქონლის და მომსახურების შეძენის ან შეთავაზების დროს, ორგანიზაცია პრიორიტეტს ანიჭებს ადგილობრივ და სამართლიანი ვაჭრობის მეშვეობით მიმწოდებლებს, მათი ხელმისაწვდომობის და საკმარისი ხარისხის შემთხვევაში**	ა. ორგანიზაცია რეგულარულად ახორციელებს მისი საქონლისა და სერვისების მიწოდების წყაროების აუდიტს. ბ. პროგრამაში ჩასართავად სერვისის პროვაიდერებისა და პროდუქტების/ გამოცდილებების შერჩევისას ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს მათ, ვინც არის ადგილობრივთა საკუთრებაში ან იმართება მათ მიერ.
B4 ადგილობრივი მეწარმეები **ორგანიზაცია მხარს უჭერს ადგილობრივ მეწარმეებს იმ მდგრადი პროდუქციის და სერვისების შექმნასა და გაყიდვაში, რომლებიც ემყარება ადგილობრივი ტერიტორიის ბუნებას, ისტორიას და კულტურას.**	ა. საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაცია აძლევს რჩევებს და მხარს უჭერს ადგილობრივ სერვისის პროვაიდერებს , რომლებთანაც ის თანამშრომლობს მათი მომსახურების ხარისხსა და მდგრადობაზე. ბ. საჭიროების შემთხვევაში, განიხილება და ხორციელდება ღონისძიებები ადგილობრივ მეწარმეებთან საერთო საწარმოების ჩამოყალიბებასა და პარტნიორობაზე.

B5 ექსპლუატაცია და შევიწროვება **ორგანიზაციას დანერგილი აქვს პოლიტიკა კომერციული, სექსუალური და სხვა ფორმის ექსპლუატაციისა და შევიწროების წინააღმდეგ, განსაკუთრებით, ბავშვების, მოზარდების, ქალების, უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების კუთხით.**	ა. ორგანიზაციას აქვს დოკუმენტირებული პოლიტიკა მოწყვლადი ჯგუფების ექსპლუატაციისა და შევიწროების წინააღმდეგ. ბ. ამ პოლიტიკის განსახორციელებლად სრულდება გარკვეული მოქმედებები. გ. ორგანიზაცია ადგილობრივ საზოგადოებასთან ერთად ერთვება იმ მიმართულებში, რომელიც განსაკუთრებით აქტიურია ექსპლუატაციასა და შევიწროების წინააღდმეგ სამუშაოდ. დ. ხორციელდება თანამშრომელთა ასაკის აღწერა და ის გვიჩვენებს ბავშვთა შრომის ნებისმიერი ფორმით არარსებობას (საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული წესებით). ე. ორგანიზაცია მხარს უჭერს მოქმედებებს ბავშთა სექს-ტურიზმის წინააღმდეგ. ვ. არ ხდება იმ სერვისის პროვაიდერების და დაწესებულებების მონახულება ან მათთან კონტრაქტის დადება, რომელთა შესახებაც არსებობს შესაძლო ექსპლუატაციის მტკიცებულება.
B6 თანაბარი შესაძლებლობები **ორგანიზაცია უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობებს, მათ შორის, მენეჯერულ პოზიციებზეც, სქესის, რასის, რელიგიის, შეზღუდული უნარის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.**	ა. ორგანიზაციას ჰყავს იდენტიფიცირებული დისკრიმინაციის რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფები, მათ შორის ქალები და ადგილობრივი უმცირესობები. ბ. თითოეული ასეთი ჯგუფიდან თანამშრომელთა პროპორცია არის კონტროლირებადი. გ. შიდა დაწინაურება მოიცავს ამ ჯგუფების წევრებს.
B7 ღირსეული სამსახური **დაცულია შრომითი უფლებები, უზრუნველყოფილია უსაფრთხო და დაცული სამუშაო გარემო და თანამშრომლები იღებენ სულ ცოტა, საარსებო მინიმუმის ტოლ ანაზღაურებას. თანამშრომლებს სთავაზობენ სისტემატურ ტრენინგებს, კარიერული წინსვლისთვის**	ა. ორგანიზაცია გვიჩვენებს ინფორმირებულობასა და შესაბამისობას საერთაშორისო შრომით სტანდარტებსა და რეგულაციებთან. ბ. რეგულარულად კონტროლდება და განიხილება ხელფასის დონე დასაქმების ქვეყანაში არსებულ საარსებო მინიმუმის ნორმასთან შესაბამისობაში.

საჭირო გამოცდილებას და შესაძლებლობებს.	გ. იწარმოება ყველა თანამშრომლის ტრენინგის ჩანაწერები, რომელიც გვიჩვენებს მიღებული ტრენიგის დონესა და სიხშირეს. დ.თანამშრომელთა ხელშეკრულებებში ნაჩვენებია ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების მხარდაჭერა. ე. ყველა ადგილზე მომუშავე თანამშრომლებისათვის უზრუნველყოფილია წყლის, სანიტარული და ჰიგიენური დაწესებულებები. ვ. ხდება დაკვირვება დასაქმებულთა კმაყოფილებაზე. ზ. არსებობს თანამშრომელთა უკმაყოფილების აღწერის მექანიზმი.
B8 საზოგადოებრივი სერვისები ორგანიზაციის საქმიანობა საფრთხეს არ უქმნის მეზობლად არსებულ საზოგადოებებისთვის არსებითი სერვისების მიწოდებას, როგორიცაა საკვები, წყალი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა და სანიტარია.	ა. ორგანიზაცია აკონტროლებს მის გავლენას მოქმედების/ მონახულებულ ძირითად ადგილებზე ადგილობრივ სერვისების ხელმისაწვდომობაზე. ბ. საზოგადოებისათვის ადგილზე არსებობს კომუნიკაციის/ უკუკავშირის/ პრეტენზიების მექანიზმი მოქმედების/ მონახულებულ ძირითადი ადგილებში. გ. ყურადღება ექცევა ორგანიზაციის მოქმედებების შედეგად იდენტიფიცირებულ ადგილობრივი საზოგადოებისათვის ზოგადი სერვისების მისაწვდომობის შემცირებას.
B9 ადგილობრივი საარსებო საშუალებები ორგანიზაციის საქმიანობა უარყოფით გავლენას არ ახდენს ადგილობრივების წვდომას საარსებო საშუალებებზე, მათ შორის, მიწის და წყლის რესურსის გამოყენებაზე, გზაზე გავლის უფლებაზე, ტრანსპორტსა და საცხოვრებელ პირობებზე.	ა. ადგილობრივთა წვდომა საარსებო საშუალებებზე განხილულია განვითარებისა და მოქმედებების შესახებ გადაწყვეტილებებში. ბ. ადგილობრივი საზოგადოებისათვის არსებობს საკომუნიკაციო მექანიზმი , რომ შეეძლოთ საარსებო საშუალებებზე შემცირებული წვდომის შესახებ განცხადების გაკეთება.

ნაწილი C: კულტურული მემკვიდრეობისთვის სარგებლის მაქსიმიზირება და უარყოფითი გავლენების მინიმუმამდე დაყვანა	
C1 კულტურული ინტერაქცია ორგანიზაცია მიყვება ადგილობრივ საზოგადოებებში სტუმრობის და კულტურული ან ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე ვიზიტების მართვისა და რეკლამირების საერთაშორისო და ეროვნულ საუკეთესო გამოცდილებას და ადგილობრივად შეთანხმებულ გზამკვლევს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს უარყოფითი გავლენები და მოახდინოს ადგილობრივებისთვის სარგებლის და ვიზიტორების კმაყოფილების მაქსიმიზირება	ა. ორგანიზაცია აჩვენებს ინფორმირებულობას და შესაბამისობას არსებულ საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ კარგ პრაქტიკასთან და ინსტრუქციებთან კულტურული მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე და მკვიდრ მოსახლეობებზე ტურისტული ვიზიტებისათვის. ბ. საჭიროებისამებრ, ორგანიზაცია ერთვება საზოგადოებასთან/ ადგილებთან ერთად ინსტრუქციების განხილვაში და დამატებითი სახელმძღვანებო პრინციპების შექმნასა და შეთანხმებაში. გ. სახელმძღვანელო მითითებები ეფექტურად გამოიყენება. დ. მიღებულია გარკვეული ზომები ბავშვებთან არასათანადო ინტერაქციის თავიდან ასარიდებლად. ე. ორგანიზაცია მონაწილეობს/ მხარს უჭერს ადგილობრივი გიდების ტრენინგსა და გამოყენებას. ვ. მხედველობაში მიიღება ადგილებისა და საზოგადოების შესაძლებლობები და სუსტი მხარეები და მათზე ზეწოლის დონე ჯგუფური ვიზიტების, ზომის, სიხშირისა და დროის განსაზღვრაში. ზ. წახალისებულია ადგილობრივი საზოგადოებებისა და ვიზიტორებისაგან უკუკავშირის მიღება.
C2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ორგანიზაცია ხელს უწყობს ადგილობრივი ისტორიული, არქეოლოგიური, კულტურული და სულიერი მნიშვნელობის მქონე ქონების, ძეგლების და ტრადიციების დაცვას, შენარჩუნებას და გაძლიერებას და ადგილობრივ	ა. ორგანიზაცია აკეთებს და აღწერს ფულად კონტრიბუციებს კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად მისი მოქმედების/ მონახულებული ადგილების ძირითად ტერიტორიებზე. ბ. ორგანიზაცია უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ნატურალური ან სხვა სახის

მაცხოვრებლებს არ უზღუდავს მათზე წვდომას.	მხარდაჭერას მისი მოქმედების/ მონახულებულ ძირითად ადგილებზე. გ. ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომ მისი საქმიანობა არ უშლიდეს ხელს სხვადასხვა ადგილებზე ადგილობრივების წვდომას.
C3 კულტურის და მემკვიდრეობის პრეზენტაცია ორგანიზაცია აფასებს და საკუთარ საქმიანობაში, დიზაინში, მორთულობებში, სამზარეულოში ან მაღაზიაში რთავს ადგილობრივი ტრადიციული და თანამედროვე კულტურის ნამდვილ ელემენტებს და ამავდროულად იცავს ადგილობრივი საზოგადოებების ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.	ა. მონახულებული ადგილები და შეთავაზებული გამოცდილებები უზრუნველყოფს ადგილობრივი კულტურისა და მემკვიდრეობის ავთენტურ გამოცდილებას. ბ. არსებული კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები ნათლად გამოხატულია შემოთავაზებულ სამზარეულოში, ვაჭრობაში, ღონისძიებებსა და სხვა მომსახურებებში. გ. დაცულია საავტორო და ინტელექტუალური უფლებები და მიღებულია საჭირო ნებართვები. დ. ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის წარმოდგენისას გათვალისწინებულია ადგილობრივი საზოგადოების შეხედულებები
C4 არტეფაქტები არ იყიდება, იცვლება ან გამოიფინება ისტორიული და არქეოლოგიური არტეფაქტები, გარდა იმ ფორმით, რომელიც დაშვებულია ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით.	ა. არტეფაქტების ნებისმიერი სახით გამოყენება არის გამჭვირვალე ან/ და დოკუმენტირებული და აღრიცხული. ბ. როდესაც ხდება არტეფაქტების გამოყენება, იდენტიფიცირდება კანონები და რეგულაციები, რომლებიც ნებას რთავს მის გამოყენებას. გ. ვიზიტორებს ეკრძალებათ არტეფაქტების აღება ან დაზიანება.

ნაწილი D: გარემოსთვის სარგებლის მაქსიმიზირება და უარყოფითი გავლენების მინიმუმამდე დაყვანა
D1 რესურსების დაზოგვა

D1.1 ეკოლოგიური შესყიდვები შესყიდვების პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებს ეკოლოგიურად მდგრად მომწოდებლებს და პროდუქციას, მათ შორის, წარმოების საშუალებებს, საკვებს, სასმელებს, სამშენებლო მასალებს და მოხმარების საგნებს.	ა. მოქმედებს დოკუმენტირებული გარემოსდაცვითი შესყიდვის პოლიტიკა. ბ. უპირატესობა ენიჭება ისეთ პროდუქტებსა და მომწოდებლებს, რომელთაც აქვს გარემოსდაცვითი სერტიფიკატი- განსაკუთრებით ეს ეხება ველური ბუნებიდან მიღებულ ხეს, ქაღალდს, თევზს, სხვა საკვებსა და პროდუქტებს. გ. როდესაც შეუძლებელია სერტიფიცირებული პროდუქტების მიღება, მხედველობაში მიიღება პროდუქციის წარმოების ან მოყვანის წარმომავლობა და მეთოდები. დ. გადაშენების პირას მყოფი სახეობები არ გამოიყენება ან იყიდება. დ. რამდენადაც ეს შესაძლებელია, სტუმრებისათვის შერჩეულ სერვისის პროვაიდერებს და სხვა ოპერატორებს აქვთ გარემოსდაცვითი/ მდგრადობის სერტიფიკატები. ე. როდესაც არ არსებობს სერტიფიცირებული ბიზნესები, გათვალისწინებულია სერვისის პროვაიდერების მდგრადობა და განიხილება და სრულდება მოთხოვნილი გაუმჯობესება.
D1.2 ეფექტური შესყიდვები ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ორგანიზაცია ყურადღებით მართავს მოხმარების საგნების და ერთჯერადი ნაწარმის (საკვების ჩათვლით) შესყიდვებს.	ა. შესყიდვისას უპირატესობა ენიჭება მრავალჯერად, დაბრუნებად და გადამუშავებად საქონელს. ბ. მოხმარებადი და გადამუშავებადი საქონლის შესყიდვა და გამოყენება კონტროლდება და იმართება. გ. ხდება ზედმეტი შეფუთვის (განსაკუთრებით, პლასტმასის) თავიდან არიდება.
D1.3 ელექტროენერგიის დაზოგვა ენერგომოხმარება იზომება ზოგადი მოხმარების ტიპის და მისი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მიღებული ზომების მეშვეობით. ორგანიზაცია მიმართავს	ა. ორგანიზაციის და მისი პირდაპირი ზეგავლენის/ კონტროლის ქვეშ მყოფი დაწესებულებების საქმიანობები გამოყენებული ენერგომოხმარება კონტროლდება.

ძალისხმევას, რომ გაზარდოს მის მიერ განახლებადი ენერგიის მოხმარება.	ბ. უპირატესობა ენიჭება განახლებად წყაროებს და კონტროლდება და იმართება სრულ ენერგომოხმარებაში არსებული განახლებად ენერგიის წილი. გ. გამოიყენება ისეთი აღჭურვილობა და პრაქტიკები, რომელიც მინიმალურ დონემდე ამცირებს ენერგიის გამოყენებას. დ. არსებობს ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებისათვის დასახული მიზნები. ე. თანამშრომლებსა და სტუმრებს ეძლევათ მითითებები ენერგიის გამოყენების მინიმუმამდე შესამცირებლად.
D1.4 წყლის დაზოგვა შეფასებულია წყალმომარაგებასთან დაკავშირებული რისკი, წყლის მოხმარება იზომება ტიპის მიხედვით, ხოლო ზოგადი მოხმარების მინიმუმამდე დასაყვანად მიღებულია გარკვეული ზომები. წყლის მოძიება მდგრადია და უარყოფით გავლენას არ ახდენს ბუნებაში წყლის დებიტზე. იმ ტერიტორიებზე, სადაც წყალმომარაგებასთან დაკავშირებული მაღალი რისკი არსებობს, განისაზღვრება და ხორციელდება კონტექსტზე დამყარებული წყლის საზედამხედველო ამოცანები.	ა. მონახულებულ ძირითად დანიშნულების ადგილებზე ფასდება და დოკუმენტურად აღიწერება წყალმომარაგებასთან დაკავშირებული რისკები. ბ. იმ დანიშულების ადგილებზე, სადაც წყალმომარაგებასთან დაკავშირებული რისკი შეფასებულია მაღალ რისკად, განისაზღვრება წყალმომარაგების მართვის მიზნები. გ. ორგანიზაციის და მისი პირდაპირი ზეგავლენის/ კონტროლის ქვეშ მყოფი დაწესებულებების საქმიანობებში გამოყენებული წყალი კონტროლდება. დ. წყლის მოხმარების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით გამოიყენება აღჭურვილობა და პრაქტიკები. ე. წყალი წარმოშობილია კანონიერი და მდგრადი წყაროდან, რომელსაც წარსულში არ მოუხდენია გავლენა გარემოზე და ნაკლებად სავარაუდოა რომ მომავალში მოახდენს. ვ. ყურადღება ექცევა წყლის წყაროების ადგილდებარეობაზე ტურიზმის კუმულაციურ ზემოქმედებას. ზ. დასახულია წყლის მოხმარების შემცირების ამოცანები.

	თ. თანამშრომლებსა და სტუმრებს ეძლევათ მთითებები წყლის მოხმარების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

ნაწილი D: გარემოსთვის სარგებლის მაქსიმიზირება და უარყოფითი გავლენების მინიმუმამდე დაყვანა	
D2 დაბინძურების შემცირება	
D2.1 სათბურის გაზების ემისიების შემცირება იდენტიფიცირდება ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი ყველა წყაროს მიერ გამოყოფილი სათბურის გაზების მნიშვნელოვანი ემისიები, შესაძლებლობის შემთხვევაში გამოითვლება და ხორციელდება პროცედურები მათი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. წახალისებულია ორგანიზაციის დანარჩენი ემისიების დაბალანსება.	ა. ხორციელდება ორგანიზაციის და მისი პირდაპირი ზეგავლენის/ კონტროლის ქვეშ მყოფი დაწესებულებებიდან სათბური გაზების პირდაპირი ან ირიბი ემისიების მონიტორინგი და მართვა. ბ. ხორციელდება თითოეული ტურისტიდან/ ღამიდან ნარხშიროჟანგის დატოვებული კვალის აღრიცხვა. გ. ტარდება ზომები ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი ყველა წყაროდან მნიშვნელოვანი წლიური ემისიის თავიდან ასარიდებლად და შესამცირებლად. დ. ხორციელდება სხვადასხვა მოქმედებები იმისათვის, რომ წაახალისოს პროდუქტისა და სერვისების მიმწოდებლები თავიდან აირიდონ და შეამცირონ წლიური ემისიები. ე. სადაც ეს პრაქტიკულია გამოიყენება ნახშიროჟანგის კომპენსირების მექანიზმები.
D2.2 ტრანსპორტი ორგანიზაცია ცდილობს ტრანსპორტირების საჭიროებების შემცირებას და ახალისებს საკუთარ საქმიანობაში და მომხმარებლების, თანამშრომლების, მომწოდებლების მიერ უფრო სუფთა და რესურსების დაზოგვაზე ორიენტირებული ალტერნატივების გამოყენებას.	ა. სადაც ეს პრაქტიკული და მიზანშეწონილია, ტურ-პროგრამებისა და ექსკურსიების განხორციელებისას გამოიყენება ყველაზე სუფთა და რესურს- ეფექტური ტრანსპორტი. ბ. სადაც ეს შესაძლებელია, კლიენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ალტერნატიული (კლიმატ მეგობრული) ტრანსპორტის ვარიანტებზე. გ. სტუმრებისა და თანამშრომლებისათვის გათვალისწინებულია ალტერნატიული

	სატრანსპორტო ვარიანტები (მაგ: ველოსიპედების ქირაობა, მანქანის გაზიარება, დახვედრა). დ. უპირატესობა ენიჭება მოკლე და მეტად მდგრადი ტრანსპორტის საშუალებით ხელმისაწვდომ ბაზრებს. ე. უპირატესობა ენიჭებათ ადგილობრივ მიმწოდებლებს და მიზნად დასახულია ყოველდღიურ საქმიანობაში ტრანსპორტის გამოყენების მინიმუმამდე შემცირება.
D2.3 ჩამდინარე წყლები ჩამდინარე წყლები, ნარეცხი წყლის ჩათვლით, ეფექტურად მუშავდება და ხელახლა გამოიყენება ან იღვრება უსაფრთხოდ, ისე, რომ არ გააჩნია რაიმე უარყოფითი ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე ან გარემოზე.	ა. ორგანიზაცია აცნობიერებს მონახულებული ძირითადი დანიშნულების ადგილებზე ჩამდინარე წყლების გაწმენდის ღონისძიებების საჭიროებას და ცდილობს სადაც აუცილებელი და შესაძლებელია ეს გააუმჯობესოს. ბ. ორგანიზაციის და მისი პირდაპირი ზეგავლენის/ კონტროლის ქვეშ მყოფი დაწესებულებების საქმიანობის შედეგად მიღებული ჩამდინარე წყლები ჩაედინება მუნიციპალურ ან მთავრობის მიერ დამტკიცებულ გამწმენდ სისტემაში. გ. როდესაც არ არის ხელისაწვდომი სათანადო მუნიციპალური საშუალება ჩამდინარე წყლების გასაწმენდად, არსებობს წყლის ჩადინების სისტემა (რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს) და არ ახდენს უარყოფით გავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე.
D2.4 მყარი ნარჩენები ნარჩენები, საკვების ნარჩენების ჩათვლით, იზომება და არსებობს მექანიზმების ნარჩენების შესამცირებლად, ხოლო სადაც შემცირება არ ხერხდება, ისინი ხელახლა გამოიყენება და გადამუშავდება (რეციკლირდება). დარჩენილი ნარჩენების განკარგვას არ აქვს უარყოფითი ზეგავლენა	ა. ორგანიზაცია აცნობიერებს მონახულებული ძირითადი დანიშნულების ადგილებზე მყარი ნარჩენების მართვის აუცილებლობას და ცდილობს სადაც აუცილებელი და შესაძლებელია ეს გააუმჯობესოს. ბ. არსებობს ორგანიზაციის და მისი პირდაპირი ზეგავლენის/ კონტროლის ქვეშ მყოფი

ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე.	დაწესებულებების საქმიანობის შედეგად მიღებული მყარი ნარჩენების მართვის გეგმა. გ. მყარი ნარჩენების მართვის გეგმა მოიცავს მყარი ნარჩენების შემცირებას, დახარიხებას, ახლიდან გამოყენებას ან გადამუშავებას. დ. ნარჩენების გადამუშავება ხდება მთავრობის მფლობელობაში ან მის მიერ დამტკიცებულ ობიექტში და არსებობს მტკიცებულება, რომ ამ ობიექტს არ აქვს უარყოფითი გავლენა გარემოზე ან ადგილობრიც მოსახლეობაზე. ე. იზომება დამუშავებული მყარი ნარჩენები მათი სახეობების მიხედვით და არსებობს დასახული მიზნები იმისათვის, რომ მინიმუმამდე შეამციროს დაუხარისხებელი მყარი ნარჩენები. ვ. ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სახელმძღვანელო მითითებები მიეცემა მომხმარებლებს, თანამშრომლებსა და პროდუქტებისა და სერვისების მიმწოდებლებს.
D2.5 მავნე ნივთიერებები მინიმალურია ისეთი მავნე ნივთიერებების გამოყენება, როგორიცაა პესტიციდები, საღებავები, საცურაო აუზების სადეზინფექციო საშუალებები და საწმენდი მასალები, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში ისინი ჩანაცვლდება არატოქსიკური/უვნებელი პროდუქციით ან პროცედურებით. ხორციელდება ქიმიური ნივთიერების შენახვის, გამოყენების, მოპყრობის ან გადაყრის სათანადო მართვა.	ა. შედგენილია მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაცია და მატერიალური უსაფრთხოების მონაცემების დოკუმენტები. ბ. მეტად ეკომეგობრული ალტერნატივების მოსაპოვებლად ტარდება გარკვეული ზომები. გ. ქიმიური ნივთიერებები, განსაკუთრებით კი ისინი, რომელიც დიდი რაოდენობითაა, ინახება და მუშავდება შესაბამისი სტანდარტებით, დ. ვიზიტორებს წინასწარ მიწოდებათ ინფორმაცია, რათა თავიდან აირიდონ პირადი პარფიუმერული ნივთები და სხვა ნივთიერებები, რომელიც შესაძლოა საზიანო იყოს ადგილობრივი გარემოსათვის.

D2.6 გარემოს დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა ორგანიზაცია ახორციელებს ღონისძიებებს ხმაურის და სინათლის დაბინძურებას, წყლის ჭარბი ჩამონადენის, ეროზიის, ოზონის დამაზიანებელი ნივთიერებების გამოყოფის და ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებლების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.	ა. კრიტერიუმში მოცემული დაბინძურების პოტენციური წყაროები არის განხილული და იდენტიფიცირებული. ბ. კრიტერიუმში მოცემული დაბინძურების პოტენციური წყაროები კონტროლდება. გ. სადაც არსებობს ამის შესაძლებლობა, ხორციელდება მოქმედებები დაბინძურების მინიმუმამდე დასაყვანად და აღმოსაფხვრელად.

ნაწილი D: გარემოსთვის სარგებლის მაქსიმიზირება და უარყოფითი გავლენების მინიმუმამდე დაყვანა	
D3 ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემების და ლანდშაფტების დაცვა	
D3.1 ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ორგანიზაცია მხარს უჭერს და წვლილი შეაქვს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში, მათ შორის, საკუთარი ქონების სათანადო მართვის მეშვეობით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბუნებრივად დაცულ ტერიტორიებს და ბიომრავალფეროვნების მხრივ მაღალი ღირებულების მქონე არეალებს.	ა. ორგანიზაცია გაცნობიერებულია ბუნებრივად დაცული ტერიტორიების და მონახულებულ ადგილებზე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობის საკითხებში. ბ. ორგანიზაცია უზრუნველყოფს და აღრიცხავს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის გაწეულ ფულად მხარდაჭერას. გ. ორგანიზაცია უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ნატურალური სახით ან სხვამხრივ მხარდაჭერას მისი მოქმედების/ ვიზიტის ძირითად ადგილებზე. დ. ორგანიზაცია და მისი პირდაპირი ზეგავლენის/ კონტროლის ქვეშ მყოფი დაწესებულებები აქტიურად იმართება იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს ბიომრავალფეროვნების დაცვას. ე. ორგანიზაციისათვის ცნობილია და ცდილობს შეამსუბუქოს ისეთი საქმიანობა, რომელსაც შეუძლია დააზიანოს ველური ბუნება და ჰაბიტატები. ვ. როდესაც ხდება ველურ ბუნებაში რაიმე ფორმით ჩარევა, ხორციელდება ამის კომპენსირება.

	ზ. გატარებულია გარკვეულიზომები იმისათვის, რომ წაახალისოს ვიზიტორები მხარი დაუჭირონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. თ. ორგანიზაცია ადგილობრივ კონსერვაციულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საქმიანობს თავის მოქმედების ძირითად არეალებში.
D3.2 ინვაზიური სახეობები ორგანიზაცია იღებს ზომებს, რომ თავი აარიდოს ინვაზიური სახეობების შემოყვანას. როდესაც შესაძლებელია, გამწვანების და რესტავრაციის პროცესში (განსაკუთრებით ბუნებრივ ლანდშაფტებში) გამოიყენება ადგილობრივი სახეობები.	ა. ორგანიზაციის ან მისი პირდაპირი ზეგავლენის/ კონტროლის ქვეშ მყოფი დაწესებულებების საკუთრებაში არსებული ან მათ მიერ მართული ქონება კონტროლდება, რათა თავიდან აირიდოს ნებისმიერი ინვაზიური სახეობის შემოყვანა. ბ. ხორციელდება გარკვეული მოქმედებები იმისათვის, რომ არ იქნას შემოყვანილი და გავრცელებული ინვაზიური სახეობები. გ. არსებობს პროგრამა ინვაზიური სახეობების აღმოსაფხვრელად და საკონტროლოდ. დ. განიხილება ადგილების გამწვანება ადგილობრივი სახეობების გამოყენებით.
D3.3 ბუნების ძეგლების მონახულება ორგანიზაცია ასრულებს შესაბამის სახელმძღვანელო პრინციპებს ბუნების ძეგლების ვიზიტების მართვის და რეკლამირების მხრივ, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს უარყოფითი ზეგავლენები და მოახდინოს ვიზიტორის კმაყოფილების მაქსიმიზირება.	ა. ორგანიზაციისათვის ცნობილია და ის შესაბამისობაშია ბუნების ძეგლებზე ტურისტული ვიზიტებთან დაკავშირებულ მითითებებთან. ბ. როდესაც ტარდება ვიზიტები და ხდება სტუმრების ინფორმირება გამოიყენება სახელმძღვანელო პრინციპები. გ. ორგანიზაცია თანამშრომლობს ადგილობრივ კონსერვაციულ ორგანოებთან გარკვეულ ადგილებზე ვიზიტებთან დაკავშირებული საკითხების დასადგენად/ საიდენტიფიკაციოდ. დ. ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას/ მხარს უჭერს ადგილობრივი გიდების ტრენინგსა და ჩართულობას.

	ე. გათვალისწინებულია ბუნების ძეგლების უნარი და სუსტი მხარეები და მათზე ზეწოლის დონე ჯგუფური ვიზიტების ზომის, სიხშირის და დროის მიხედვით. ვ. წახალისებულია უკუკავშირი ადგილობრივი საზოგადოებისა და ვიზიტორებისაგან.
D3.4 ინტერაქცია ველურ ბუნებასთან ველურ ბუნებაში თავისუფლად მცხოვრებ ცხოველებთან ინტერაქციები, მათი კუმულაციური გავლენების გათვალისწინებით, არის არაინვაზიური და იმართება პასუხისმგებლობით, რათა თავიდან იქნას აცილებული უარყოფითი გავლენები ადგილობრივ ტერიტორიაზე მცხოვრებ ცხოველებზე და ველურ ბუნებაში არსებული პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობასა და ქცევაზე.	ა. ორგანიზაციისათვის ცნობილია და ის შესაბამისობაშია არსებულ ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო რეგულაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან ველურ ბუნებაში ინტერაქციებთან დაკავშირებით. ბ. ორგანიზაცია მონაწილეობს ველურ ბუნებაში ინტერაქციებისათვის ადგილობრივი კოდექსებისა და სახელმძღვანელოების შექმნაში, ველური ბუნების ექპერტების რჩევის საფუძველზე. გ. ორგანიზაცია უზრუნველყოფს ყველა სერვისის პროვაიდერისა და მოსანახულებელი ადგილის შესაბამისობას არსებულ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო რეგულაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან ველურ ბუნებაში ინტერაქციებთან დაკავშირებით. დ. დაუშვებელია ველურ ბუნებაში პირდაპირი ინტერაქცია, კერძოდ კი გამოკვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაშვებულია საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტებით ან თუკი არ არსებობს ეს სტანდარტები დამოუკიდებელი ველური ბუნების ექსპერტის რჩევის მიხედვით. ე. ველურ ბუნებაზე ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მიღებულია ზომები. ვ.რეგულარულად კონტროლდება და განიხილება ველურ ბუნების მთლიანობაზე ზეგავლენა.

D3.5 ცხოველთა კეთილდღეობა ადგილი არ აქვს გარეული ცხოველების არცერთი სახეობის წარმომადგენლის შესყიდვას, გამრავლებას ან ტყვეობაში ყოლას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილების და აღჭურვილობის მქონე პირები, მხოლოდ ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით სათანადოდ მოწესრიგებული საქმიანობის მიზნებისთვის. ყველა გარეული და შინაური ცხოველის დაბინავება, მოვლა და მოპყრობა აკმაყოფილებს ცხოველთა კეთილდღეობის უმაღლეს სტანდარტებს.	ა. ორგანიზაციისათვის ცნობილია და შესაბამისობაშია სათანადო კანონებთან და რეგულაციებთან ტყვეობაში მყოფ ცხოველებთან დაკავშირებით. ბ. არსებობს სახელმძღვანელო პრინციპები გარკვეული ტურისტული აქტივობებისათვის, რომელიც ეხება ტყვეობაში მყოფ ცხოველებს. დ. ტყვეობაში მყოფ ცხოველებზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს სრული კვალიფიკაცია და გამოცდილება და სრულად ლიცენზირებულია. ე. ორგანიზაციისათვის ცნობილია და ის შესაბამისობაშია ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებულ კანონებსა და რეგულაციებთან. ვ. ორგანიზაცია უზრუნველყოფს მისი ყველა სერვისის პროვაიდერისა და მოსანახულებული ადგილების შესაბამისობას სათანადო კანონებთან, რეგულაციებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან. ზ. რეგულარულად მოწმდება ტყვეობაში მყოფი ცხოველების საცხოვრებელი პირობები. თ. რეგულარულად მოწმდება შინაური ცხოველების საცხოვრებელი პირობები და მათდამი მოპყრობა.
D3.6 ველური ბუნების წარმომადგენლების შეგროვება და ვაჭრობა არ ხდება ველური ბუნების სახეობების შეგროვება, მოხმარება, გამოფენა, გაყიდვა აბ გაცვლა, თუ ეს ხორციელდება კანონით მოწესრიგებული საქმიანობის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მათ მდგრად უტილიზაციას და შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას.	ა. ორგანიზაციისათვის ცნობილია და ის შესაბამისობაშია სათანადო კანონებთან და რეგულაციებთან ველური ბუნების წარმომადგენლების შეგროვებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებით. ბ. ორგანიზაცია უზრუნველყოფს მისი ყველა სერვისის პროვაიდერისა და მონახულებული ადგილების შესაბამისობას სათანადო კანონებთან, რეგულაციებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან ველური ბუნების წარმომადგენლების შეგროვებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებით. გ. ვიზიტორები და გიდები ინფორმირებულები არიან ველური ბუნების წარმომადგენლების შეგროვებასა,

	მოხმარებასა და და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და იმის საჭიროების შესახებ, რომ თავიდან უნდა აირიდონ უკანონო პროდუქტების/ სუვენირების ყიდვა IUCN ან CITES-ის მიერ მოხსენიებული გადაშენების პირას მყოფი სახეობებიდან. დ. იქ სადაც ნებადართულია ნადირობა, ის არის მეცნიერებაზე დამყარებული, სათანადოდ მართული და მკაცრად კონტროლირებადი მიდგომის ნაწილი.